



აღმოსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 ოქტომბერი, 2012 წელი

დრო: 17:00 -19.00 საათი

შეხვედრის ადგილი: ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა ქოჩლაძე - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი
2. პაატა ბელთაძე - მე-2 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
3. ლია თოდუა - მე-3 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
4. თემურ ვეკუა - მე-3 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
5. ლალი დევიძე - მე-4 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
6. ვანო ჩხიკვაძე – ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, პირველი ჯგუფი

განსახილველი საკითხები:

- მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორის საკითხი
- პლატფორმის საქმიანობის ანგარიში
- კონფლიქტის თემაზე მომუშავე ქვეჯგუფის შექმნა
- ვიზის თემაზე მომუშავე ქვეჯგუფის შექმნა
- სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისთვის ერთობლივი განცხადების მომზადება

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა, მანანა ქოჩლაძემ და კოორდინატორებს გააცნო დღის წესრიგი. განსახილველი საკითხების გაცნობის შემდეგ დამსწრეთა სრული შემადგენლობის თანხმობით დღის წესრიგი დამტკიცდა.

პირველ საკითხად შეხვედრის დამსწრეებმა განიხილეს მეორე ჯგუფის ახალი თანაკოორდინატორის საკითხი, წესდებით განსაზღვრული პროცედურის თანახმად (მუხლი 9.5). დავით ნარმანიას მაგივრად, თანაკოორდინატორობის მოვალეობას შეასრულებს ოლეგ შატბერაშვილი.

დღის წესრიგის თანახმად, კოორდინატორებმა იმსჯელეს პლატფორმის 10 თვის მანძილზე (მიმდინარე წლის 21 იანვრიდან 31 ოქტომბრამდე), განხორციელებული საქმიანობის ამსახველი ანგარიში. სამდივნო მოამზადებს ანგარიშის სამუშაო ვერსიას, ხოლო კოორდინატორები ნოემბრის პირველი კვირისთვის შეაჯერებენ საბოლოო ვარიანტს. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე წასაღებად, ანგარიში ითარგმნება ინგლისურ ენაზე და დაიბეჭდება (ფორუმი გაიმართება ამა წლის 29–30 ნოემბერს, სტოკჰოლმში, შვედეთში).

ამის შემდეგ, დამსწრეებმა განიხილეს კონფლიქტისა და ვიზის თემებზე მომუშავე ქვეჯგუფის შექმნის საკითხი. განხილვის შედეგად, პირველი და მეოთხე სამუშაო ჯგუფების ქვეჯგუფებად შეიქმნა აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ქვეჯგუფები. ელექტრონული კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით, საარჩევნო ქვეჯგუფის მსგავსად, Google–ში შეიქმნება ორი შესაბამისი თემატური ჯგუფი, რომელიც ღია იქნება გაწევრიანებისთვის. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ სამდივნოს.

ქვეჯგუფების შექმნის საკითხის შემდეგ, შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს და შეთანხმდნენ აღნიშნული ფორუმისთვის ერთობლივი განცხადების მომზადებაზე. განცხადება უნდა მოიცავდეს სხვადასხვა საკითხებს, მაგ., როგორცაა, სამმხრივი დიალოგი (სამოქალაქო საზოგადოება-მთავრობა-ევროკავშირი), ადამიანის უფლებები, არჩევნები, გარემოს დაცვა, სოციალური თემა, პლატფორმის ფარგლებში კონფლიქტებსა და ვიზის თემებზე ქვეჯგუფის შექმნის საკითხი და სხვა.

განცხადების ტექსტი უნდა შემუშავდეს ფორუმის მონაწილე ორგანიზაციების მიერ ონლაინ (ელექტრონულ) რეჟიმში (სასურველია, მიმდინარე წლის 12 ნოემბრამდე). განცხადების სამუშაო ვერსიის შეჯერების მიზნით, დამსწრეებმა მიზანშეწონილად

ჩათვალეს ფორუმზე გამგზავრებამდე მონაწილე ორგანიზაციების შეხვედრის ორგანიზება.

ამის შემდეგ, მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორმა წამოაყენა ინიციატივა ფორუმზე გამგზავრებამდე, ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან, ალექსი პეტრიაშვილთან და ევროინტეგრაციის საკითხებში საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარესთან, ვიქტორ დოლიძესთან საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრასთან დაკავშირებით. დამსწრეები მიესალმნენ აღნიშნული ინიციატივის განხორციელებას, თუმცა კონკრეტულ ვადებზე არ შეთანხმებულან.

შეხვედრის მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს მთავრობასთან დიალოგში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმებზე და ასევე, განიხილეს ფორუმზე ახალი ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლებლობების საკითხი.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა.

საკოორდინაციო საბჭოს სამდივნო: ეკა მრულიშვილი და სალომე ბულია